11.03.2013

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2012 წლის IV კვარტალი

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წლის IV კვარტალში 181 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2011 წლის IV კვარტლის დაზუსტებული მაჩვენებლის 53 პროცენტია.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2010-2012* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი №1 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2011-2012 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2012 წლის IV კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 424 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 17 პროცენტით ნაკლებია 2011 წლის IV კვარტლის დაზუსტებულ და 3 პროცენტით იმავე პერიოდის წინასწარ მონაცემებზე, ხოლო 2012 წლის III კვარტლის მაჩვენებელს 6 პროცენტით აღემატება.

ცხრილი №1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2012* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**269,4**	**219,4**	**195,4**	**181,0**
მათ შორის:								
შემომავალი ნაკადები	315,3	334,3	437,5	508,7	321,4	303,3	400,2	424,3
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-105,6	-86,0	-120,9	-166,1	-52,0	-83,9	-204,8	-243,3

*წინასწარი მონაცემები.

2012 წლის IV კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №2):

ცხრილი №2. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2012 წლის IV კვარტლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**269,4**	**219,4**	**195,4**	**181,0**
მათ შორის:								
ნიდერლანდები	39,4	20,5	108,1	73,8	-105,0	81,7	49,2	61,6
აზერბაიჯანი	19,9	29,5	42,9	45,7	19,7	21,0	-2,2	34,2
ჩინეთი	3,1	0,4	4,1	2,1	0,7	3,4	10,7	13,7
კვიპროსი	19,9	1,3	2,4	-13,3	17,0	5,2	4,8	12,7
გაერთიანებული სამეფო	39,3	5,2	5,8	4,7	27,3	12,1	14,9	12,4
თურქეთი	16,1	21,9	27,5	10,0	32,2	10,9	32,7	11,3
შვეიცარია	1,4	4,5	12,8	9,2	0,6	4,6	-3,4	10,0
საფრანგეთი	8,0	-0,2	2,2	-2,6	15,7	1,7	2,9	6,6
დანარჩენი ქვეყნები	62,5	165,2	110,8	213,0	261,1	78,8	85,9	18,5

*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა 2012 წლის IV კვარტალში მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 90 პროცენტი შეადგინა. პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №2, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე ნიდერლანდები იმყოფება 34 პროცენტით, მეორეზე აზერბაიჯანი - 19 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ჩინეთი 8 პროცენტით.

დიაგრამა №2.



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება 2012 წლის IV კვარტლის მიხედვით ეკონომიკის სექტორების ჭრილში მოცემულია ცხრილში №3:

ცხრილი №3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2012* წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2011				2012*			
	I	II	III	IV	I	II	III	IV
სულ	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**269,4**	**219,4**	**195,4**	**181,0**
მათ შორის:								
დამამუშავებელი მრეწველობა	48,1	23,5	18,3	30,5	64,5	42,0	27,2	58,1
ენერგეტიკა	38,4	-7,5	82,4	90,7	18,3	74,9	40,2	38,0
საფინანსო სექტორი	37,6	26,7	47,8	55,5	62,5	18,6	46,1	28,3
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	0,7	60,6	28,5	36,7	38,1	58,1	32,6	20,3
უძრავი ქონება	3,4	38,2	-0,1	47,6	2,8	8,9	3,3	13,9
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	3,8	1,0	13,3	-1,3	3,6	2,3	4,2	12,7
დანარჩენი სექტორები	77,8	105,7	126,4	82,9	79,7	14,5	41,8	9,7

* წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი სექტორების წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2012 წლის IV კვარტალში 95 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში განხორციელდა და 58 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 32 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი 38 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე – საფინანსო სექტორი 28 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012 წლის IV კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №3:

დიაგრამა №3.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012* წლის IV კვარტალში (%)



* წინასწარი მონაცემები.

2012 წელი (წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2012 წელს 865 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 23 პროცენტით ნაკლებია 2011 წლის და 6 პროცენტით მეტია 2010 წლის დაზუსტებულ მონაცემებზე.

დიაგრამა №4.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2006-2012* წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ამავე პერიოდში რეინვესტიციის ოდენობამ მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 13 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №4 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2006-2012 წლებში.

ცხრილი №4.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2006-2012* წწ.

	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012*
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	5,4	2,4	4,9	-8,4	28,1	30,0	12,8

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №5.



*წინასწარი მონაცემები.

2012 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 66 ქვეყნიდან განხორციელდა. 2011 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 65, ხოლო 2010 წელს 62 ქვეყანა შეადგინა.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების რეიტინგი ასე განაწილდა (ცხრილი №5):

ცხრილი №5.

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2012 * წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2011**	I	II	III	IV	**2012***
სულ	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**1 117,2**	**269,4**	**219,4**	**195,4**	**181,0**	**865,2**
მათ შორის:										
გერმანია	7,0	7,1	7,0	4,4	**25,5**	131,1	4,2	1,7	4,8	**141,7**
ნიდერლანდები	39,4	20,5	108,1	73,8	**241,8**	-105,0	81,7	49,2	61,6	**87,5**
თურქეთი	16,1	21,9	27,5	10,0	**75,5**	32,2	10,9	32,7	11,3	**87,1**
აზერბაიჯანი	19,9	29,5	42,9	45,7	**138,0**	19,7	21,0	-2,2	34,2	**72,7**
გაერთიანებული სამეფო	39,3	5,2	5,8	4,7	**55,0**	27,3	12,1	14,9	12,4	**66,8**
საერთაშორისო ორგანიზაციები	8,7	23,2	11,3	51,7	**94,9**	11,4	0,0	42,9	4,8	**59,2**
ლუქსემბურგი	2,3	1,8	9,1	30,0	**43,3**	19,8	12,8	3,3	6,0	**41,8**
კვიპროსი	19,9	1,3	2,4	-13,3	**10,4**	17,0	5,2	4,8	12,7	**39,6**
აშშ	-26,3	51,5	-25,1	28,0	**28,1**	3,2	24,8	11,8	-6,1	**33,8**
დანარჩენი ქვეყნები	83,3	86,3	127,5	107,6	**404,8**	112,7	46,7	36,4	39,2	**235,0**

*წინასწარი მონაცემები.

დიაგრამა №6.



*წინასწარი მონაცემები.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილმა მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2012 წლის წლიური მონაცემების მიხედვით 73 პროცენტი შეადგინა. პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №7, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე იმყოფება გერმანია 16 პროცენტით, მეორეზე - ნიდერლანდები 10 პროცენტით, მესამეზე - თურქეთი, ასევე 10 პროცენტით.

დიაგრამა №7.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2012* წელს



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, 2012 წლის მიხედვით, მოცემულია ცხრილში №6:

ცხრილი №6.
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2011-2012* წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

	I	II	III	IV	**2011**	I	II	III	IV	**2012***
სულ	**209,7**	**248,3**	**316,6**	**342,6**	**1 117,2**	**269,4**	**219,4**	**195,4**	**181,0**	**865,2**
მათ შორის:										
დამამუშავებელი მრეწველობა	48,1	23,5	18,3	30,5	**120,3**	64,5	42,0	27,2	58,1	**191,7**
ენერგეტიკა	38,4	-7,5	82,4	90,7	**204,0**	18,3	74,9	40,2	38,0	**171,4**
საფინანსო სექტორი	37,6	26,7	47,8	55,5	**167,7**	62,5	18,6	46,1	28,3	**155,6**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	0,7	60,6	28,5	36,7	**126,5**	38,1	58,1	32,6	20,3	**149,1**
უძრავი ქონება	3,4	38,2	-0,1	47,6	**89,2**	2,8	8,9	3,3	13,9	**28,9**
სოფლის მეურნეობა	2,3	2,4	6,1	4,1	**14,9**	5,6	6,4	7,7	4,9	**24,6**
დანარჩენი სექტორები	79,3	104,3	133,6	77,5	**394,6**	77,6	10,5	38,3	17,5	**143,9**

*წინასწარი მონაცემები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2012 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში განხორციელდა და 192 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №8:

დიაგრამა №8.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2012* წელს



*წინასწარი მონაცემები.

წყარო:
1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

2012 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2013 წლის 15 აგვისტოს.